

დისციპლინის პრობლემები და მისი გაუმჯობესების გზები თბილისის სსიპ
№123 სკოლის 9[1] კლასის მაგალითზე

თეონა კიკაძე, მარინე ქაფიანიძე, ანა დარსაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მათა ბიწაძე, განათლების დოქტორი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

ქვემდებარე ნაშრომი მოიცავს პრაქტიკული კვლევის ანგარიშს, რომელიც განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო ჯგუფის და ქალაქ თბილისის სსიპ #123 საჯარო სკოლის ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე. „დისციპლინის პრობლემების გაუმჯობესების გზების“ კვლევის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: ადგილზე განხორციელდა პრობლემის შესწავლა, დადგინდა მისი გამომწვევი მიზეზები, შემუშავდა გაუმჯობესების გზები, რომლებიც პრაქტიკაში განხორციელდა და შედეგების შეჯამება-ანალიზის საფუძველზე მოხდა რეკომენდაციების გაწერა.

კვლევის ფარგლებში თანამშრომლობით განხორციელებული ინტერვენციის შედეგად დაიწყო დისციპლინის პრობლემების შემცირება, რაც უფრო თვალსაჩინო შედეგს მომავალში მოგვცემს.

დისციპლინის პრობლემების გადაწყვეტის გზები სისტემის კონტექსტშია განხილული და რეკომენდაციები, რომელსაც სკოლა განახორციელებს, უზრუნველყოფს გარემოს შემდგომ სრულყოფას. შედეგად, როგორც მასწავლებლები, ასევე მოსწავლეები მოახდენენ საკუთარი თავის რეალიზებას და შესაბამისად დისციპლინის პრობლემები იქნება ნაკლებად აქტუალური.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დისციპლინის პრობლემები, კლასის წესები, ოპტიმალური გზა, მასწავლებელი, მოსწავლე, ინტერვენცია.